საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ზ. ბ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.02.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №022/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ჯ. ს /სიითი №---/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ჯ.-სთვის ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 8 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი მეუღლე - შ. კ. არის მსუბუქი ყოფაქცევის, ამორალური და სხვადასხვა საშიში დაავადებების მქონე პირი, რომელიც შვილზე არ ზრუნავს სათანადოდ და მისი გაყიდვაც კი ჰქონდა გეგმაში. ზ. ბ. შ. კ.-ის შვილის ბიოლოგიურ მამას თავად არ წარმოადგენს, მაგრამ ბავშვი საკუთარი შვილივით უყვარს და ზრუნავს მასზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 7 თებერვალს ყვარლის მაგისტრატ სასამართლოში იხილებოდა განქორწინების საქმე საჩივრის ავტორ - ზ. ბ.-სა და მის მეუღლე შ. კ.-ის მიმართ. განქორწინების თაობაზე სასამართლოში სარჩელი წარადგინა შ. კ.-მ. მომჩივნის მხრიდან, განქორწინებაზე უარის თქმის მთავარი მიზეზი ბავშვზე მეურვეობის მოპოვება და მისთვის სათანადო მზრუნველობის გაწევა იყო, რადგან, როგორც აღინიშნა, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, დედა ბავშვზე სათანადო მზრუნველობას არ ახორციელებს. სხდომის მიმდინარეობისას, მისი მეუღლის ადვოკატმა ნ. ჯ.-მ მომჩივნის მიმართ გამოხატა აგრესიულობა და გამოავლინა საკუთარი არაპროფესიონალიზმი. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი - ნ.

ჯ. ყველანაირად ცდილობდა ზ. ბ.-ს მდგომარეობიდან გამოყვანას. კერძოდ, ადვოკატმა პროცესის მსვლელობის დროს განაცხადა, რომ ზ. ბ.-ს არ აქვს თავმოყვარეობა. ასეთი რეპლიკა განმცხადებლისთვის განსაკუთრებით შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა, რამაც იგი გამოიყვანა მდგომარეობიდან და საბოლოოდ, ასეთმა დამოკიდებულებამ პროცესის ჩაშლა გამოიწვია.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. ჯ. მთელი პროცესის განმავლობაში მოწოდებული იყო, რომ განმცხადებელში აგრესია გამოეწვია და გაეღიზიანებინა, მაგრამ საჩივრის ავტორმა თავი შეიკავა, რომ არ ეგინებინა მისთვის. მიუხედავად ადვოკატის გამომწვევი ქცევისა, მოსამართლემ არ მისცა შენიშვნა ნ. ჯ.-ს მისი მხრიდან განხორციელებულ აგრესიაზე და შეურაცხმყოფელ ქმედებებზე, რადგან ის მოსამართლესთან მეგობრობს.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. ჯ.-მ ჩაიდინა ადვოკატის პროფესიისთვის შეუფერებელი საქციელი, რადგან პროცესის მონაწილის შეურაცხყოფა ზემოთ დასახელებული ფორმით და სიტყვებით და მისდამი აგრესიული დამოკიდებულება სასამართლო სხდომის დარბაზში, პროფესიული ეთიკის უხეში დარღვევაა, რამაც მძიმე მორალური ზიანი მიაყენა საჩივრის ავტორს.

1.6 2019 წლის 03 მაისის, 06 მაისის დამატებითი განცხადებებით ზ. ბ.-მ მხარი დაუჭირა საჩივარს და მოითხოვა ადვოკატ ნ. ჯ.-სთვის ადვოკატის უფლებამოსილების შეჩერება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 22 მარტს ადვოკატმა ნ. ჯ.-მ წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის თანახმად იგი არ ეთანხმება წარმოდგენილ საჩივარს და მას უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიიჩნევს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ზ. ბ. და შ. კ. 2014 წლიდან იმყოფებიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში. ერთად ცხოვრების პერიოდში მეუღლეებს ხშირად ჰქონდათ კონფლიქტი და ზ. ბ. სისტემატურად ძალადობდა ცოლზე. შ. კ.-მ ზ. ბ.-თან ქორწინების რეგისტრაცია მოახდინა 2017 წლის 20 დეკემბერს, ამ უკანასკნელის მხრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განხორციელებული მუქარის გამო. ზ. ბ.-ს მსჯავრი დაედო განზრახი მკვლელობის მცდელობისთვის და სასჯელის სახით განსაზღვრული აქვს თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის 21 ნოემბერს შ. კ.-მ ყვარლის მაგისტრატ სასამართლოში აღძრა სამოქალაქო სარჩელი მოპასუხე ზ. ბ.-ს მიმართ და მოითხოვა ქორწინების შეწყვეტა განქორწინებით, ხოლო 2018 წლის 27 დეკემბერს შ. კ.-მ მასთან გააფორმა ხელშეკრულება და მისცა რწმუნებულება, რათა დაეცვა მისი უფლებები ზ. ბ.-თან განქორწინების საქმეზე.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 7 თებერვალს, საქმეს განიხილავდა მოსამართლე ნ. ნ. სხდომაზე ზ. ბ. არღვევდა წესრიგს, გამოხატავდა აშკარა უპატივცემულობას მოსამართლის, მოსარჩელის და ადვოკატის მიმართ. საკუთარ მეუღლეს მოიხსენიებდა სიტყვებით: „მეძავი, ქუჩის ქალი, ლოთი, ვენერიული სენით დაავადებული.“ მოსამართლეს, რომელიც უხსნიდა, რომ პროცესზე მხოლოდ განქორწინების საკითხი განიხილება და არა შვილის მეურვეობის, მიმართავდა სიტყვებით: „შენ რა იცი, მე მასწავლი?“ ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ ვერ დააჯარიმა და გააძევა დარბაზიდან პროცესის მსვლელობის დროს ზ. ბ., რადგან იგი იყო მსჯავრდებული და არ ჰყავდა წარმომადგენელი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ზ. ბ. არა მხოლოდ შ. კ.-ს, არამედ მასაც აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას. როდესაც ადვოკატს უნდა დაეყენებინა შუამდგომლობა საქმეზე მტკიცებულების დართვის შესახებ, ზ. ბ.-მ დაუწყო ყვირილი: „ვინ ხარ? არ გესმის რას ვამბობ?".

2.6 ადვოკატის განმარტებით, ზ. ბ.-ს მიერ მისი მეუღლის მისამართით ზემოთ დასახელებული ანალოგიური ამორალური ტერმინების გამოყენების შემდეგ, მან ზოგადად აღნიშნა, რომ არცერთი თავმოყვარე მამაკაცი არ მოინდომებს ასეთი უზნეო მეუღლის გვერდით ცხოვრებას და თავისი ნებით განქორწინდება.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მას უთავმოყვარეო კაცი კონკრეტულად ზ. ბ.-სთვის არ უწოდებია, არამედ ზოგადად აღნიშნა, თუ როგორ შეიძლება იქცეოდეს თავმოყვარე ადამიანი. ამასთან, ადვოკატისთვის გაუგებარია, რატომ მიიღო თავის თავზე ზ. ბ.-მ მისი სიტყვები და რატომ ჩათვალა, რომ ადვოკატმა მისი თავმოყვარეობა შელახა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის 14 თებერვალს შედგა მეორე მოსამზადებელი სხდომა, რომელიც იმავე დღეს გადაიზარდა მთავარ სხდომაში. აღნიშნულ სხდომაზე ზ. ბ.-ს ინტერესებს იცავდა საზოგადოებრივი ადვოკატი, ბ. გ. სხდომის მიმდინარეობის დროს ზ. ბ. კვლავ აგრძელებდა წესრიგის დარღვევას, იყო აგრესიული მოსამართლის და პროცესის მონაწილეების მიმართ. მოსამართლის გაფრთხილებას, მისი გაძევების და სხდომის წარმომადგენლის მეშვეობით გაგრძელების შესახებ, უგულებელყოფდა. მოსამართლემ დიდი ძალისხმევის ფასად შეძლო ასეთ პირობებში სხდომის ჩატარება.

2.9 ადვოკატის განმარტებით, სასამართლოს 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით შ. კ. ს სარჩელი დაკმაყოფილდა და ეს უკანასკნელი და ზ. ბ. სასამართლოს წესით განქორწინდნენ.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მას არ დაურღვევია პროფესიული ეთიკის კოდექსის დებულებები, რის გამოც ზ. ბ.-ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №----/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ზ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 8 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წლის თებერვალში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ჯ. ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 ზ. ბ.-ს პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: სასამართლო სხდომაზე, სადაც საჩივრის ავტორი მოპასუხეს წარმოადგენდა, მოსარჩელის ადვოკატმა მის მიმართ გამოავლინა აგრესია და არაპროფესიონალიზმი, ადვოკატი ცდილობდა ზ. ბ.-ს მდგომარეობიდან გამოყვანას და ბოლოს მიაყენა შეურაცხყოფა, კერძოდ, ადვოკატმა განაცხადა, რომ ზ. ბ.-ს თავმოყვარეობა არ ჰქონდა.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ჯ. ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,გ'' ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები''

,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილის სავარუდო დარღვევებზე, რომლის თანახმად „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან."

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მხრიდან განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, ხოლო ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი ადვოკატს უფლებას ანიჭებს ისე დაიცვას კლიენტის ინტერესები, რომ არ შელახოს პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

5.4 ,,...ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს." (ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 075/10)

5.5 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად."

5.6 ,,ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი." (ეთიკის კომისიის 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 076/10)

5.7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ" (საქმე№1/3/421.422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით

ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

5.8 ეთიკის კომისია საჭიროდ თვლის ერთმანეთისგან გამიჯნოს სიტყვიერი შეურაცხყოფა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

5.9 სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირებას, მისი პატივისა და ღირსების შელახვას, გამოხატულს ზეპირი ფორმით. ამასთან, შეურაცხყოფა აუცილებლად გულისხმოს არაეთიკური და ამორალური ფრაზების ხმარებას. პიროვნებისთვის მორალური ტანჯვის გამომწვევი შესაძლოა იყოს სიმართლეც, გამოთქმული ეთიკურობის ფარგლებში, რაც არ უნდა შეფასდეს სიტყვიერ შეურაცხყოფად, თუნდაც ასეთი ფრაზები პირმა აღიქვას როგორც მისი თავმოყვარეობის შელახვა.

5.10 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრებები თავისუფლად, თუ მისი შეხედულებები არ ეწინააღმდეგება მორალისა და ზნეობის საყოველთაოდ დამკვიდრებულ სტანდარტებს.

5.11 საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით საპროცესო კოლეგიამ გამოიკვლია ადვოკატის მიერ წარმოდგენილი ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმი და მიიჩნევს, რომ ზ. ბ. სისტემატურად აყენებდა შეურაცხყოფას საკუთარ მეუღლეს - შ. კ.-ს, უწოდებდა მას ამორალურ და უზნეო ქალბატონს, კერძოდ „მეძავს“ და „ლოთს“. აქედან გამომდინარე, ადვოკატ ნ. ჯ.-ს გაუჩნდა ლოგიკური შეკითხვა, რაც პროცესზე გააჟღერა - ,,თუ მამაკაცი თავს ცოლს ასეთ უზნეო პიროვნებად მიიჩნევს, რატომ სურს მასთან თანაცხოვრების გაგრძელება. თავმოყვარე მამაკაცი უზნეო ცოლთან ცხოვრებას არ იკადრებს.“ აღნიშნულ ნათქვამს ზ. ბ. ხდის სადავოდ და მიიჩნევს მძიმე ფორმის სიტყვიერ შეურაცხყოფად.

5.12 ეთიკის კომისიის განმარტებით, სხდომის ოქმის მიხედვით დგინდება, რომ ადვოკატს საჩივრის ავტორისთვის უთავმოყვარეო მამაკაცი არ უწოდებია, არამედ ზოგადად განაცხადა, რომ თავმოყვარე მამაკაცი უზნეო ცოლთან ცხოვრებას არ იკადრებს. აღნიშნული ფრაზის გამოყენების მიზნობრიობა ადვოკატმაც განმარტა. კერძოდ, მის მიერ გამოთქმული რეპლიკა იყო ზოგადი ხასიათის და კონკრეტულად ზ. ბ.-ს არ მიმართა.

5.13 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ შესაძლოა კონკრეტულ ადგილას კონკრეტულ პირთა გარემოცვაში თუნდაც ზოგადი ხასიათის, აბსტრაქტული რეპლიკების გამოთქმამ მაინც შეიძინოს კონკრეტული ხასიათი და ე. წ. „შეფარვით“ გაკეთებულმა, ირიბმა კომენტარებმა პირდაპირ შეურაცხყოფაზე არანაკლები მორალური ტანჯვა მიაყენოს პირს. ეთიკის კომისიის შეფასებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატ ნ. ჯ.-ს მიერ გაკეთებული რეპლიკა შესაძლოა არ მივიჩნიოთ ზოგადი ხასიათის, აბსტრაქტულ გამონათქვამად, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს აღნიშნული რეპლიკის გამოთქმისას საჩივრის ავტორის - ზ. ბ.-ს სახელი და გვარი არ უხსენებია და რეპლიკის ადრესატი არ დაუკონკრეტებია. თუმცა ის, რომ მოცემული რეპლიკა შესაძლოა აბსტრაქტულად არ ჩაითვალოს, აპრიორი მის არაეთიკურობაზე არ მეტყველებს.

5.14 ეთიკის კომისიის შეფასებით, თუნდაც ნ. ჯ. ს მიერ გამოთქმული მოსაზრება ყოფილიყო უფრო მეტად პირდაპირი და კონკრეტული ხასიათის, იგი მაინც არ შეფასდებოდა პროცესის მონაწილის - ზ. ბ.-ს შეურაცხყოფად, ვინაიდან როგორც საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, უზნეო და ამორალურ პიროვნებას საჩივრის ავტორი საკუთარ მეუღლეს თავად უწოდებს და თავადვე,

მასთან თანაცხოვრების გაგრძელების საფუძვლად მხოლოდ ბავშვისადმი მეურვეობის საკითხს ასახელებს. საჩივრის ავტორი თავადვე თვლიდა, რომ უზნეო ქალის გვერდით ცხოვრება არ ეკადრება და ამას მხოლოდ ბავშვის გამო აკეთებს. ეთიკის კომისიის შეფასებით, სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს საჩივრის ავტორის გაღიზიანების მთავარი მიზეზი მიმდინარე კანონიერი სამართალწარმოება იყო და არა ადვოკატის მიერ გამოთქმული კონკრეტული სადავო სიტყვები. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ შესაძლოა ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრება არ იყო ბოლომდე აბსტრაქტული ხასიათის, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის ფრაზაში ეთიკის ნორმების დარღვევა არ იკვეთება, რადგანაც გამოთქმული რეპლიკა სრულად ექცევა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

5.15 ამასთან, ეთიკის კომისია დამატებით განმარტავს, რომ იგი მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს საჩივრის ავტორის სუბიექტური მდგომარეობის და იმის შესახებ, თუ როგორი მორალური ტანჯვა მიაყენა მას ადვოკატის სიტყვებმა. ამიტომ, ეთიკის კომისია საზომად ზოგად, ობიექტურ ფაქტორებს იღებს და არა საჩივრის ავტორის სუბიექტურ შეხედულებებს. ეთიკის კომისიამ ზემოთ იმსჯელა, რომ ზოგადად ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე ადვოკატის სიტყვები საჩივრის ავტორისთვის მომეტებულად შეურაცხმყოფელი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა რადგან ეთიკის კომისიისთვის უცნობია თითოეული ინდივიდის სუბიექტური მდგომარეობა, იგი საკუთარ მსჯელობას მეორე არგუმენტითაც გაამყარებს. კერძოდ, ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ შესაძლოა ადამიანის გაღიზიანება, გაბრაზება (მაგრამ არა შეურაცხყოფა, რადგან შეურაცხყოფა მხოლოდ ამორალური ფორმით არის შესაძლებელი) ისეთმა სიტყვებმაც გამოიწვიოს, რომელიც სრულად ექცევა ეთიკურობის ფარგლებში და ადამიანისთვის მორალური ტანჯვის გამომწვევ უბრალოდ „მწარე სიმართლის“ მოსმენა წარმოადგენს, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს შეურაცხყოფას, რადგან ადამიანის შეურაცხყოფა ხდება უხამსი სიტყვების გამოთქმით და არა სიმართლის თქმით.

5.16 ეთიკის კომისიის განმარტებით, როცა ადვოკატი სიტყვიერად გამოხატავს სათქმელს, რომელიც ეთიკურობის ფარგლებშია მოქცეული, იგი წინასწარ ვერ განჭვრეტს რა შეიძლება იყოს „შეურაცხმყოფელი“ მეორე მხარისთვის. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია შეურაცხყოფის ფაქტს აფასებს ობიექტური და არა სუბიექტური კრიტერიუმის გათვალისწინებით და აღნიშნავს, რომ ყველა ადამიანს მორალის და ზნეობის საკუთარი სტანდარტები გააჩნია. თუმცა არსებობს დადგენილი მორალი და ზნეობა, რომელიც ყველა ადამიანისთვის საერთო და საყოველთაოდ აღიარებულია.

5.17 ეთიკის კომისიის განმარტებით, ყველა ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს საკუთარი შეხედულება და გარკვეული ქმედება შეაფასოს დადებითად თუ უარყოფითად, მითუმეტეს, როცა ამგვარი შეფასება მიზნად არ ისახავს სხვა პირთა პატივისა და ღირსების დამცირებას და სრულად ექცევა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

5.18 ეთიკის კომისიის განმარტებით, ადვოკატის რეპლიკა გამოხატული არ იყო უწესო ფორმით, არამედ განხორციელდა საყოველთაოდ დამკვიდრებული მორალისა და ზნეობის ფარგლებში. ადვოკატის ზემოთ დასახელებული რეპლიკა მისი სუბიექტური მოსაზრება იყო მორალსა და ზნეობაზე და მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორის შეურაცხყოფას.

5.19 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ აღნიშნული კითხვა დასმული იყო ეთიკის ფარგლებში. ამასთან, კითხვა მიზნად ისახავდა მოსამართლის დარწმუნებას იმაში, რომ განქორწინების საფუძველი რეალურად არსებობს და მეუღლის მიმართ პროცესზე გამოხატული დამოკიდებულებით მოსარჩელე თავად საკუთარ პოზიციასთან მოდის წინააღმდეგობაში.

5.20 ეთიკის კომისია დამატებით განმარტავს, რომ ადვოკატს უფლება აქვს თავად შეარჩიოს დაცვის სტრატეგია და მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ადვოკატ ნ. ჯ.-ს მიერ მამაკაცის თავმოყვარეობაზე ხაზგასმა მისი დაცვის შემადგენელ ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენდა და მიზნად არ ისახავდა მოპასუხის შეურაცხყოფას. ადვოკატის მიერ გაკეთებული კომენტარი თავმოყვარე მამაკაცებთან მიმართებით საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებას ისახავდა მიზნად, ე. ი. მხარეებს შორის განქორწინების მიღწევას.

5.21 ეთიკის კომისიამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეაფასა ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრება როგორც აბსტრაქტულობის, ასევე ეთიკურობის კუთხით. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ შესაძლოა სადავო ფრაზა არ იყო ბოლომდე აბსტრაქტული ხასიათის, მაგრამ იგი სრულად ექცევა ეთიკურობის ფარგლებში.

5.22 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ყვარლის მაგისტრატი სასამართლოს 2019 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით შ. კ.-ს სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა და მოსარჩელე შ. კ. და მოპასუხე ზ. ბ. სასამართლოს წესით განქორწინდნენ.

5.23 ეთიკის კომისია გადაწყვეტილების გამოტანის დროს ძირითადად ეყრდნობა 2019 წლის 7 თებერვლის სასამართლო სხდომის ოქმს, სადაც გამოხატულ სიტყვიერ ქმედებაში ნ. ჯ.-ს მხრიდან პროცესის მონაწილის უფლებების დარღვევა და ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა არ იკვეთება, ადვოკატის მიერ გამოთქმული მოსაზრება ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და არ წარმოადგენს საჩივრის ავტორის სიტყვიერ შეურაცხყოფას. ადვოკატის მიერ აღნიშნული კითხვა დასმული იყო ეთიკის ფარგლებში. ადვოკატ ნ. ჯ.-ს შ. კ. ს ინტერესების დაცვისას საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის არ გადაუცილებია.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ბ'' და ,,გ" პუნქტებით, 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით, ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით, და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №022/19 ადვოკატ ნ. ჯ. ს მიმართ, /სიითი №----/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/